ლელო

№ 21
(11 273)

19 - 22 მარტი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო — უკრაინა

ხვალ, 20 მარტს, თბილისის ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი კვლავ უმასპინძლებს დიდ ფეხბურთს — საქართველოსა და უკრაინის ეროვნული ნაკრები გუნდები ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს.

ეს არ იქნება რიგითი და ჩვეულებრივი მატჩი. ორივე გუნდს სურს თავიანთი საბრძოლო შემადგენლობა შეამოწმონ ევროპის ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩების წინ. თუმცა, სავსებით შესაძლებელია, მეტოქეთა შემადგენლობა თანაბარძალოვანი არ იყოს, დასახულ ამოცანას უკეთ ალბათ შეასრულებენ სტუმრები, რადგან ისინი თბილისში მართლაც დასაყრდენი შემადგენლობით ჩამოვიდნენ, ჩვენს ნაკრებში კი, უმეტესად, ახალ ძალებს ვიხილავთ, თუმცა, ჩვენი და, სხვათა შორის, უკრაინელთა სურვილიც იყო ამ მატჩში ქეცბაია და სხვა ქართველი ლეგიონერები გვეხილა.

ძნელი სათქმელია ისიც, თუ რამდენად დამუხტული გამოვა მინდორზე ჩვენი ნაკრები რევანშისათვის — მათ ხომ შარშან კიევში 0-4 წააგეს უკრაინელებთან. ჩვენი მეტოქის თამაშს თვალყურს მიადევნებენ საფრანგეთიდან საგანგებოდ ჩამოსული „მზვერავები“, რადგან 27 მარტს სწორედ უკრაინელებს ხვდებიან „ევრო-2000“-ის მორიგ შესარჩევ მატჩში, 31 მარტს კი უკრაინელები ისლანდიელებს ეთამაშებიან.

ახალი ამბები სფფ-დან

14 წლის შემდეგ თბილისს კვლავ უბრუნდება დიდი ფეხბურთი

როგორც ადრე ვიუწყებოდით, 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის იმ ქვეჯგუფის ქვეყნები, სადაც ჩვენებთან ერთად გამოდიან ხორვატიის, ბულგარეთის და საბერძნეთის ნაკრები გუნდები, თავიანთთან ითხოვდნენ შესარჩევი მატჩების ჩატარებას. ცხადია, ეს სურდათ ჩვენებსაც. უეფამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება და ხსენებული ქვეჯგუფის მატჩები ჩატარდება თბილისში წლეულს შემოდგომაზე, ოქტომბერში.

შეხვედრების კალენდარი ასეთია:

20 X ბულგარეთი — ხორვატია, საქართველო — საბერძნეთი;
22 X ბულგარეთი — საბერძნეთი, ხორვატია — საქართველო;
24 X საქართველო — ბულგარეთი, ხორვატია — საბერძნეთი.

ქვეჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე გადის მხოლოდ ერთი ნაკრები. სულ 8 ქვეჯგუფია.

კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი — ოყუპარულ ფეხბურთელთა ევროპის პირველი ჩემპიონატის მაგრებსაც ვუმასპინძლებთ

ეს ჩემპიონატიც უეფას ეგიდით ტარდება. მასში მონაწილეობენ ფეხბურთელები, რომელთა ასაკი აღემატება 18 წელს და ფეხბურთელს მონაწილეობა არ მიუღია კონტინენტის შეჯიბრებებში, ანუ არ არიან რეგისტრირებულნი ევროპის ტურნირებში.

ბოლნისშიც სცოდავენ...

ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში საერთო წესრიგის დამყარების მიზნით, მატჩებზე მიელინებული კომისრები საფეხბურთო კარის ზომებსაც ამოწმებენ. ახლა დარღვევამ ბოლნისში იჩინა თავი — კარის სიმაღლე მთელი 9 სმ-ით დაბალი იყო, კომისარმა ალექსანდრე დურსუნისმა აიძულა მასპინძლები მატჩის წინ სასწრაფოდ აღედგინათ სტანდარტული ნორმები. ეტყობა ამ პრინციპული მოთხოვნით ჯანაწყინებულმა ბოლნისელებმა ჯავრი იმით იყარეს, რომ კომისარს, როგორც თავად განუცხადა „ლელოს“ კორესპონდენტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მათ შორის კი ვინც ეს იკადრა რაიონის გამგებელი და მისი ძმაც იყვნენ.

ნახევარფინალების წილისყრა

გუშინ სფფ-ში გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალის წილისყრა.

გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ტორპედო“ (ქუთაისი) — „არსენალი“ (თბილისი); „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სამგურალი“ (ფუალეთუბო).

მატჩები გაიმართება 7 და 20 აპრილს.

ტაილანდური კრივი მსოფლიო ჩემპიონატი

პირთვალეთ, სანამ ჯერ კიდევ მოდის ვედრები...

ტაილანდური კრივის ქართველი ოსტატები მსოფლიო სარბიელზე უკვე ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ და მეტოქეებს მათთან შეხვედრა, ცხადია, არ სიამოვნებთ. 67 ქვეყნის რჩეული ათლეტები მონაწილეობდნენ სპორტის ამ სახეობის სამშობლოში, — ტაილანდში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. უსახსრობის გამო ჩვენი გუნდი სრული შემადგენლობით ვერ გაემგზავრა, მაგრამ ოთხი მონაწილიდან სამი შინ მედლით დაბრუნდა, თანაც ჯილდოები სამივე სინჯისაა. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა გიორგი ჩაკვეტაძემ (57 კგ), მეორე პრიზიორი გახდა გიგა კორძაძე (71), მესამე — შოთა ლომიძე (60). ამ უკანასკნელს სპონსორიც არ გამოუჩნდა და საკუთარი ფულით გაემგზავრა ჩემპიონატზე.

ვლადიმერ გუცაევი უკრაინელებთან მატჩში ნაკრებს თავად უხელმძღვანელებს

იყო ეჭვი, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი შესაძლებელია ავადმყოფობის გამო უკრაინელებთან მატჩში საქართველოს ნაკრებს ვერ უხელმძღვანელებდა. სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჯორდანიამ და გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გუცაევი შინ მოინახულეს. როგორც ვალერი ჩოლარიამ „ლელოს“ კორესპონდენტს განუცხადა ჩვენი უფროსი მწვრთნელი თავს უკეთ გრძნობს და უკრაინელებთან შეხვედრაში ნაკრებთან იქნება.

რეპლიკა

1600 ნაჩუქარი ბურთი საბაქოდან ვერ გამოგვისყიდია...

ფიფა-უეფას წესებით, საერთაშორისო მატჩებში მონაწილე სტუმარი გუნდი მასპინძელმა 20 ავარჯიშო ბურთით უნდა უზრუნველყოს. თანაც ბურთები აუცილებლად ერთნაირი უნდა იყოს. აგერ, დღეს უკრაინის ნაკრები ჩამოდის და დღესვე 20 საათზე ჩვენს ეროვნულ სტადიონზე უნდა ივარჯიშონ, მაგრამ... გუშინ საღამომდე ჯერ კიდევ არავინ იცოდა, როგორ გადაეჭრათ ბურთების პრობლემა — 20 ერთნაირი ბურთი არ აღმოჩნდა. არადა, თურმე 1600 „ადიდასის“ ბურთი დიდი ხანია საბაჟოში ობდება, განბაჟების ფულის გადამხდელი არავინაა. სფფ თურმე ხელისუფლებას სთხოვს, გამოგვასყიდინეთ თანხის ჩათვლის წესით, იგივე ფულს ხომ ბიუჯეტში დაგიბრუნებთო! გაგიგონიათ? ვინ უგდებს ყურს. სფფ იქამდეც მივიდა, ახლა კლუბებს ეხვეწება, ვინმემ გამოისყიდეთ და თქვენი იყოსო, არა და არა, მაინც არავინ გამოჩნდა მსურველი. დავუფიქრდეთ, უცხო ქვეყანა გვჩუქნის, ჩვენ კი საბაჟოს თანხა ვერ გადაგვიხდია.

ისე, პარლამენტში ხშირად ხმარობენ ხოლმე სიტყვა „აბსურდს“. მართლაც, რომ აბსურდების ქვეყანაში ვცხოვრობთ.

საქართველოს ნაკრები:

მეკარეები: აკაკი დევაძე („ირონი“) სოსო გრიშიკაშვილი („ალანია“ რუსეთი), დავით ჯანელიძე („ლოკომოტივი“ თბ).

მცველები: გიორგი ბალაშვილი („ლოკომოტივი“, თბ.), ვაჟა თარხნიშვილი („შერიფი“, მოლდოვა), ლევან სილაგაძე („სკონტო“, ლატვია), გიორგი ჩხაიძე („ალანია“, რუსეთი), მამუკა წერეთელი („ალანია“, რუსეთი), კახი კალაძე („დინამო“, უკრაინა)

ნახევარმცველები: გიორგი ნემსაძე („რეჯანა“, იტალია), ლევან კობიაშვილი („ფრაიბურგი“, გერმანია), გოჩა ჯამარაული („ციურიხი“, შვეიცარია), გოგა გახოკიძე („ეინდჰოვენი“, ჰოლანდია), რატი ალექსიძე („დინამო“, თბ), გიორგი დარასელია („ზაფრირიმი“, ისრაელი), გიორგი ქინქლაძე („აიაქსი“, ჰოლანდია).

თავდამსხმელები: დავით ჯანაშია („ტორპედო“), ზაზა ჯანაშია („ლოკომოტივი“, რუსეთი), გიორგი დემეტრაძე („ალანია“, რუსეთი), მიხეილ ფოცხვერაია („შახტიორი“, უკრაინა), მიხეილ ჯველაშვილი („გრასჰოპერი“, შვეიცარია), შოთა არველაძე („აიაქსი“, ჰოლანდია), არჩილ არველაძე („ბრედა“, ჰოლანდია).

საქართველოს ეროვნული გუნდის შეკრება გუშინ, 18 მარტს დაიწყო და ის უკრაინასთან მატჩის შემდეგაც გაგრძელდება — ერთი კვირის თავზე ხომ ევრო-2000-ის შესარჩევ ციკლში სლოვენიას უნდა ვუმასპინძლოთ.

«ორიენტირი — სიდნეი-2000»

ნანა ნეგიერიძე ოლიმპიელია!

მაშინ, როცა წლევანდელი უბადრუკი დაფინანსებით, შეიძლება თამამად ითქვას, უსახსროდაა დარჩენილი ქართული სპორტი, ჩვენი ქვეყნის რჩეული სპორტსმენები მომავალი ოლიმპიური თამაშების საგზურის მოსაპოვებლად იბრძვიან. იჭნებ ამაოდაც ირჯებიან...

კიდევ ერთმა ქართველმა სპორტსმენმა, ამჯერად წყალში მხტომელმა ნანა ნებიერიძემ მოიპოვა 2000 წელს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ლიცენზია. ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „გაზაფხულის მერცხლები“, რომლებიც ამჟამად ნაცვლად მოსკოვისა, ელექტროსტალში ჩატარდა, სალიცენზიო ასპარეზობათა ნუსხაში შედის. 10-მეტრიან ტრამპლინიდან ასპარეზობაში არანაკლებ 225 ქულა იძლეოდა საგზურს. ნანამ კი ამ ნორმატივს 24 მეასედით გადააჭარბა.

ნანა უკვე თბილისშია, მაგრამ ვერ ვარჯიშობს პირობების უქონლობის გამო, დარბაზში ვარჯიში კი ოლიმპიელს, დაგვერწმუნებით, დიდად არაფერში წაადგება. მაშ ასე, ლიცენზია მოპოვებულია, ახლა საჭიროა სტაბილურობის შენარჩუნება, ტექნიკის დახვეწით ოსტატობის ამაღლება და საშეჯიბრო პრაქტიკა, რისთვისაც შეჯიბრებებში გამუდმებული მონაწილეობაა აუცილებელი. ჩვენი წყალმხტომელი უკვე მიწვეულია საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირში, მაგრამ ისევ და ისევ ფინანსური პრობლემა აღმართულა ბარიერად და არა მხოლოდ ამ სპორტსმენის წინაშე...

ქართველთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა ძმური ექსპედიცია ევერესტისკენ დაიძრა

იხ. 22-ე გვ.

ამერიდან, ბაქურიანში, ქვლაე ჩაბარდება ჩვენი ქვეყნის პირველობა სამთო-სათხილამურო სპორტში გაზთ „ლელოს“ პრიზზე.

„ლელოს“ პრიზის აღორძინებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით თვით ბაქურიანელებს. ასპარეზობას კორდინირებიან უწევს ბაქურიანის საკრებულო, რომელსაც ამ საქმეში საბანაგებო სწორმა მიუძღვნა. *(იხ. 22-2 გვ.)*

1 ჯგუფი

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1.	დინამო თბ	19	16	3	0	64-10	51
2.	ტორპედო	19	14	2	3	48-17	44
3.	ლოკომოტ.	19	9	10	0	23-8	37
4.	კოლხეთი	19	9	4	6	42-32	31
5.	დინამო ბთ.	19	8	7	4	26-16	31
6.	დილა	19	8	5	6	27-24	29
7.	მერანი	19	5	9	5	19-20	24
8.	იბერია	19	6	4	9	27-33	22
9.	სამგურალი	19	6	2	11	18-36	20
10.	ოდიში	19	6	2	11	16-30	20
11.	არსენალი	19	4	8	7	21-34	20
12.	ვიტ-ჯორჯია	19	6	4	9	17-19	19
13.	სიონი	19	5	4	10	18-37	19
14.	გორდა	19	4	7	8	14-26	19
15.	თსუ	19	3	6	10	15-26	15
16.	გურია	19	3	3	13	21-48	12

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

კიევის «დინამო» ნახევარფინალშია!

ანდრეი შევჩენკომ ორჯერ გაანგრილა მეტოქე და თანაგუნდელთა გარემოცვაში მოექცა

„ლელოს“ პრიზის გათამაშება საშთო-სათხილაშურო სპორტში კვლავ გვიბრუნდება

ანონსი

24-25 მარტს ბაკურიანში გაიმართება ჩვენი ქვეყნის პირველობა საშთო-სათხილაშურო სპორტში (ლალომი, გიგანტი) გაზეთ „ლელოს“ პრიზზე.

ასპარეზობაში მონაწილეობას შეიღებენ ჩვენი უძლიერესი საშთო-შოთხილაშურეები. შეჯიბრების შთაბეჭდილებას შეიქმნის ჩვენი საუკეთესო სპორტსმენების, სპორტული ბაზების, კერძო სასპორტო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების და თითოეული ბაკურიანელის ინიციატივით ცდება შესაძლებელი. თუ სურთ, ბაკურიანი კვლავ დიდ სპორტულ ცხოვრების ფერხულში იხილონ და ჩანაფიქრს საქმით აგვირგვინებენ.

ერთი სიტყვით, შეიძლებათ თოვლის სიმცირისა, ბაკურიანელთა „მცირე კულაჯა“ დიდი ასპარეზობის მოლოდინშია.

შეგახსენებთ, „ლელოს“ პრიზის გათამაშება თავის დროზე სსრ კავშირის პირველობის ეწოდა წარემატებდენდა. დღეს კი მსოფლიოს სათხილაშურო სივყაროზე დამოუკიდებლად ვართ ინტეგრირებული და ამ ასპარეზობის ღირებულება უფრო გაიზარდა.

26 მარტს გათამაშდება სპორტის ქომაგის ბესიკ ეგრალიძის სხოვნის პრიზი... ღონისძიება დაგვირგვინდება დიდი სპორტული ზეიმით „ბაკურიანობა“ (27 მარტი).

ბაკურიანში სპორტულ ასპარეზობათა აღორძინება თავისთავად არ მოდის. ეს ბაკურიანელი სპორტის მეხუთურების, ვეტერანი სპორტსმენების, სპორტული ბაზების, კერძო სასპუძრობის, ადგილობრივი საკრებულოსა და თითოეული ბაკურიანელის ინიციატივით ცდება შესაძლებელი. თუ სურთ, ბაკურიანი კვლავ დიდ სპორტულ ცხოვრების ფერხულში იხილონ და ჩანაფიქრს საქმით აგვირგვინებენ.

„ლელოს“ პრიზის გათამაშების პროგრამა:

შეჯიბრებაში მონაწილეობენ ვაჟები, ქალები, ჭაბუკები და გოგონები (1980-83, 1984-85, 1986-87, 1988-89 წლებში დაბადებულები).

22 მარტი – მიღების დღე.
23 მარტი – ტრასის გაცნობა.
24 მარტი – შეჯიბრების პირველი დღე.
25-26 მარტი – შეჯიბრების დღეები.

ყველა ხარჯებს – კვება, სასტუმრო, პრიზები, გაიღებენ ბაკურიანის „მცირე, კულაჯა“ – „გეოლოგი“ (ოთარ ხვედელიძე), „ივერია“ (ბათუმელების სასტუმრო), „ენერგეტიკოსი“, ფირმა „ბაკურიანი“ (ტურბაზა) , „მწვანე ველი“ (კ. მიქაბერიძე), კერძო სასტუმროები და ა.შ.

კობა წაქაძის შეგირდები აგრძელებენ შეჯიბრებათა სერიას

გაზეთების „ლელოს“ და „გორჯომის“ პრიზზე

ამჯერად ასპარეზობა ჩატარდა 25-მეტრიან ტრამპლინზე. კობა წაქაძემ და მისმა „მართველებმა“ ნაძვის წიწვებით მორთეს ტრამპლინი და დასაშვები მოედანი. შეჯიბრებას კი თვით კობა წაქაძის აღმზრდელი ნიკოლოზ თვაური სჯიდა. პრიზების გათამაშება ორ სერიად მოეწყო. 12-15 წლის ჭაბუკებში უველაზე შორს გადახტა და ორი სერიის ჯამში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ლევან კოზანაშვილმა — 133 ქულა, მეორე იყო ოვანეს ხაჩატურიანი — 130,5, მესამე — გიორგი წიკლაური — 124.

უმცროს ასაკში (8-11 წ.) გაიმარჯვა ლევან გურეშიძემ — 113,5, მეორე ადგილზე გავიდა გიორგი კილაძე — 108, მესამეზე — ვახტანგ თედიაშვილი — 107,5. უველაზე უმცროსი მონაწილე, 8 წლის თორნიკე ფანქველიშვილი მეოთხე იყო. ამ ბიჭუნამ უველა განაცვიფრა თავისი გამბედაობით და უინით. თორნიკეს საგანგებო პრიზი გადასცა თავისმა პატარა მეგობარმა კოტე ვახტანგიშვილმა. „ლელო“ (№18) წერდა, გამოუჩნდებოდა თუ არა სპონსორი ამ შეჯიბრებებს. მინდა სიხარულით გაუწყოთ, რომ შეიწევები გამოჩნდნენ. ესენი არიან: სასტუმრო „აპოლონი“ (ოთარ გოცირიძე), „გეოლოგი“ (ოთარ ხვედელიძე), ტურისტული ფირმა „ბაკურიანი“ (დავით ჩადუნელი), რაიონის საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორი ოთარ გელაშვილი, ბაკურიანის საკრებულოს თავმჯდომარე კოტე მიქაბერიძე, უოფილი მოციგავე დავით ქოქიაშვილი, თვით დაბის მოსახლეობა, რომლებმაც საჩუქრები მიართვეს შეჯიბრების მონაწილეებს.

ახლა ბაკურიანში ახალი თოვლი ხვავრიელად მოვიდა და, როგორც კობა წაქაძემ განაცხადა, მოასპარეზეები 40-მეტრიან ტრამპლინზე გადაინაცვლებენ.

სოფიკო ხეთაგაშვილი, „ლელოს“ საკ. კორესპონდენტი, ბაკურიანი

ფირმა გთავაზობთ:

უცხოური ფარმოების საბურავების დასაშლელ-ასაწყობ და ბალანსირების დანადგარებს, ფარების მარეგულირებელს, მანქანის კარებების მინების ელექტროამწევებს, ლუკებს, „MOMO“-ს ფირმის დისკებს სხვადასხვა მარკის ავტომობილებისთვის.

FAX. TEL: 23 00 96 2928 64 TEL. FAX.

ავტოსერვისის დანადგარების ექსკლუზიური იმპორტიორი. თბილისი, ბავშვაძის 49ა.

სახელოვანი ფალავანი

გურამ საღარაძე 60 წლისაა!

ბედნიერებაა, როცა ათწლეულების შემდეგ, სახელოვან სპორტსმენზე მხოლოდ წარსულ დროში, მხოლოდ მის სპორტულ რეგალიებზე და ნადავლზე არ გიხდება საუბარი, უამრავი რამ გაქვს სათქმელი, როგორც ცხოვრებით დაბრძენებულ კაცზე და ღირსეულ მამულიშვილზე. ქართული და მსოფლიო სპორტის ცის კაბადონზე გურამ საღარაძე ერთბაშად ამობრწყინდა და მის სახელს სიკაშკაშე არასდროს დაკლებია დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგაც კი. იგი ყველასათვის საყვარელ ფალავნად და პიროვნებად დარჩა ცხოვრებაში. მართალია, გურამ საღარაძე, როგორც ფალავანი, საქართველოს ჭიდაობის ოაზისიდან იშვა, მაგრამ დამკვიდრება, მით უფრო, საბჭოთა ნაკრებში შეღწევა, სულაც არ იყო იოლი საქმე. საბჭოთა სპორტული ინდუსტრია ულმობელი იყო უიღბლოების მიმართ, ორჯერ არავის პატიობდა „წაფორხილებას“, სხვა იდგა რიგში, სხვა იკავებდა მის ადგილს. გურამმა წარუშლელი კვალი დატოვა ქართული სპორტის მატიანეში და ეს კვალი მით უფრო დასაფასებელია, რომ ჭეშმარიტად ზნემაღალი კაცის სახელს უკავშირდება.

თაობებს ხიდი სჭირდება, – ზნეობრივი ხიდი! გურამ საღარაძემ გამორჩეულად გაითავისა უფროსი თაობის საუკეთესო ტრადიციები, რითაც თავადაც სამაგალითო გახდა ახალგაზრდებისათვის.

გურამ საღარაძე ისეთივე ჩინებული სპეციალისტია თავის პროფესიაში, როგორიც სპორტში იყო. ახლა, სიბერძნის ასაკში კი, თავის მეგობრებთან ერთად პოლიტიკურ სარბიელზეც იბრძოლებს გამარჯვებისათვის. ქართული სპორტის, ჯანსაღი თაობის აღზრდის, საერთაშორისო არენაზე ქართული გენის წარმოჩენის ერთადერი გზა ქვეყნის საერთო კეთილდღეობაა. ამ შეგნებით მოვიდნენ პოლიტიკაში გურამ საღარაძე და მისი თანამოაზრენი. ვის, ვის, მაგრამ ამ კაცს არ ესწავლება რა ნაბიჯი გადადგას და, რაც მთავარია, როდის გადადგას. ახლა სწორედ რომ დროული იყო პოლიტიკაში ჩართულიყო „სპორტული საქართველო“. მივადევნოთ თვალყური და ისე დავუდგეთ მხარში, როგორც ეს მისი ცხოვრების წესია. ის არც პოლიტიკაში გაგვაწბილებს!

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია



განვლილი გზა

- **გურამ საღარაძე:** დაიბადა 1939 წლის 21 მარტს, თბილისში.
- 60-იან წლებში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქვესაშუალო წონაში.
- გამოდიოდა „დინამოს“ და „ბურევესტნიკის“ სახელით.
- 1961-1969 წლებში იყო სსრ კავშირის ნაკრების წევრი.
- 1963 და 1965 წლებში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი (1965 წელს, ქ. მანჩესტერში, პარალელურად მიანიჭეს ევროპის ჩემპიონობა).
- 1964 წლის ოლიმპიური თამაშების, 1966 და 1967 წლების მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლის მედალოსანი.
- 1968 და 1969 წლების ევროპის ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი.
- 1964, 1965, 1966 წლების სსრ კავშირის ჩემპიონი.
- საერთაშორისო ტურნირების ექვსგზის გამარჯვებული.
- სპორტის დამსახურებული ოსტატი.
- დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
- საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.
- დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ (1966) და ღირსების ორდენით (1999).

გურამ საღარაძე: „იმ დროს კონკურენციას მიწევდა ერთი ძლიერი ფალავანი. იმ მოჭიდავეს დაუქადნა: რა გახდა საღარაძე, როცა გინდათ, მაშინ გავაკრავ ხალიჩასო. ძალიან მეწყინა. გააფრთებული მივვარდი, დიდხანს არ გვიჭიდავია, წმინდად მოვუგე. მინდოდა ორთოდე სიტყვით გამეხსენებინა ქადილი, მაგრამ ვერ ვიკადრე. ნამდვილმა სპორტსმენმა თავის დღეში მეტოქეს გული არ უნდა ატკინოს“.

არჩილ გოგელიას წიგნიდან „ასეთია სპორტული ცხოვრება“

გვაღლობთ, ბატონო გურამ!

ცხრამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ ჩემი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი, დამრიგებელი და უფროსი მეგობარი გახდით.

სწორედ ამ პერიოდში მივაღწიე წარმატებებს სპორტულ სარბიელზე, რაშიაც თქვენ უდიდესი წვლილი მიგიძღვით. თქვენს პირად მაგალითზე მრავალი მოჭიდავე აღიზარდა. სპორტული დაოსტატების გარდა, მათ თქვენგან ისწავლეს გამარჯვებისაკენ სწრაფვა, კაცთმოყვარეობა და კეთილშობილება. დღეს თქვენ იუბილარი ბრძანდებით და დამსახურებულად იღებთ სპორტულ სამყაროს, მთელი ხალხის მოლოცვებს.

მეც, როგორც თქვენი აღზრდილი, გულწრფელად გილოცავთ დაბადებიდან 60 წლის იუბილეს; გისურვებთ დღეგრძელობას, მზეგრძელობას და ბედნიერებას.

კვლავაც დიდხნის გეღვაწოთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

დავით გობეჯიშვილი,
ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

... „მას ჭარბად ჰქონდა კარგი მუსიკოსივით დახვეწილი ზომიერების გრძნობა. შეეძლო ორთაბრძოლის ტემპის მართვა, იცოდა, სად გაეძლიერებინა იგი, სად შეემცირებინა ან სულ დაემუხრუჭებინა. როცა გრძნობდა, რომ მეტოქე მასზე ამტანი იყო, საღარაძე პირველ წუთებში მაქსიმალურად აძლიერებდა ტემპს, მოწინააღმდეგეს აიძულებდა შემცდარიყო და ზუსტი კონტრქმედებით უკარგავდა რწმენას. მორიგი „კონტრილეთის“ შემდეგ დაბნეული მეტოქე ჩერდებოდა, ამასობაში საღარაძე სულს იოქვამდა და, როგორც თვითონ ამბობს, „აზრებს იკრებდა“.

იან დიმოვი,
ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილას) პროპაგანდის კომისიის წევრი



გურამ საღარაძე: „მძულს მატყუარები!.. ასეთ ადამიანებს ვერ ვეგუები, პატიოსანი მტერი მირჩევნია, უპატიოსნო მეგობარს“.

გურამ საღარაძე: „ჩემი იდეალი ვაჟა-ფშაველაა, როგორც მგოსანი, მოქალაქე, რაინდი... საყვარელი მწერლები და ლიტერატურული გმირები მუდამ ამხნევებენ ადამიანს. ჩემთვის ვაჟა იყო ძალისა და გამბედაობის წყარო“.

არჩილ გოგელიას წიგნიდან „ასეთია სპორტული ცხოვრება“

სპორტში ყველა გამარჯვება ერთნაირი არ არის. ბევრს ნიშნავს ისიც თუ ვისთან და როდის მოიპოვებ წარმატებას. ირანის ბეჭდაუდებელი ფალავნის ჰაბიბის ძლევამ გურამ საღარაძეს უდიდესი სახელი და პატივი მოუტანა. მაშინ არ არსებობდა ქართველი, გურამის ეს წარმატება, რომ საკუთარ ბედნიერებად არ აღექვა.

დიდი სპორტსმენები ყოველთვის როდი ხდებიან დიდი აღმზრდელები. გურამს, მის შეგირდებსაც, ეს ბედნიერება ხვდათ წილად. ჩვენი გურამი ლაღი ბუნების, ძლიერი, კეთილი, გულისხმიერი, ჭკვიანი და ენაწყლიანი მეგობარია. მუდამ გულთან ახლოს მიჰქონდა და მიაქვს ქვეყნის სატკივარი. რომ არა სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვა და მაღალი პატრიოტიზმი, სხვა რა უბიძგებდა ამ სახელოვან ვაჟკაცს და მის მეგობრებს გამოსულიყვნენ პოლიტიკურ არენაზე. სპორსტმენებს არ ეშლებათ მიზნის გაოვლა, მით უმეტეს, გურამისნაირ გონიერ ადამიანებს და მჯერა, რომ „სპორტული საქართველო“ თავის რიხიან სიტყვას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც იტყვის.

მრავალჟამიერ, ჩემო მეგობარო, გურამ!

ოთარ მელქვინეთუხუცესი, სახალხო არტისტი

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი უეხგურთში (II წრე)

პირველი ჯგუფი XIX ტური

თსუ (თბილისი) — სამგურალი (წყალტუბო) 1-3

თსუ: გაბელია, ილურიძე (გონჩაროვი, 60), შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ზამთარაძე, ნინუა, დეკანოსიძე, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი (ბუკია, 66).
სამგურალი: ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ფრანგიშვილი, ვოსკანოვი (ჯავახაძე, 82), ძაგნიძე, აფციაური (დარსაძე, 78), გ. კილასონია (მ. ჭინჭარაძე, 72), გიორგობიანი, სუხიაშვილი, გ. შენგელაია.
გოლები: მახვილაძე (50), შენგელაია (65), კობიაშვილი (70), ჭინჭარაძე (81).
გააფრთხილეს: ილურიძე, ზამთარაძე, მახვილაძე, დარსაძე.
მსაჯი: სოსო კახიანი (თბილისი).

სიონი (ბოლნისი) — დინამო (თბილისი) 1-3

სიონი: დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, შაკაიშვილი, ყიფშიძე, ლ. ამბიძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (გ. ჩალაძე, 14), გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ხიდაშელი, გაგუა.
დინამო: გვარამაძე, მიქაძე, ვაშაკიძე, მაჭავარიანი, ა. მუჯირი (ა. სახვაძე), გუჩუა, ჩომახიძე, ალექსიძე, ქებაძე, წიტაიშვილი (ტუღუში, 75), აშვეთია.
გოლები: აშვეთია (48), გაგუა (55), ტუღუში (88).
გააფრთხილეს: ჯაფარიძე, წიტაიშვილი, გუჩუა, მუჯირი, გოგოლაძე, ხიდაშელი.
მსაჯი: ალექსანდრე მეშკოვი (თბილისი).

ვიტ-ჯორჯია (თბ) — ლოკომოტივი (თბ) 1-2

ვიტ-ჯორჯია: ჭურაძე, ჭანკოტაძე, ქემოკლიძე, ი. კაპანაძე, ვ. მაისურაძე, გიორგი ქორიძე, ზ. გვაზავა, მაზიაშვილი (ჭოხონელიძე, 46), ერაძე, ა. ბოკერია (გ. გვაზავა, 46), კ. ალადაშვილი.
ლოკომოტივი: ჯანელიძე, ბალაშვილი, ნ. მინდიაშვილი (ქოიავა, 88), ბარნოვი, ზ. არჩვაძე, გოგობერიშვილი, კაცაშვილი, შ. ხუჯაძე, ბაქრაძე, კოტორაშვილი (კ. მელქაძე, 63), წივწივაძე (გილაური, 89).
გოლები: ხუჯაძე (4), კოტორაშვილი (39), ქორიძე (48).
გააფრთხილეს: ერაძე, ბაქრაძე, გოგობერიშვილი, მაზიაშვილი, ზ. გვაზავა, არჩვაძე, ჯანელიძე.
გააძევეს: გოგობერიშვილი.
მსაჯი: ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი).

ოდიში (ზუგდიდი) — გურია (ლანჩხუთი) 4-2

ოდიში: ნაყოფია, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, აფაქიძე (იოსავა, 59), ჯავაშვილი, აკობია, ჭურღულია (ტაბაღუა, 46), კუტალია (ვახანია, 63), მარკოზია, გოგოხია, ხვიჩია.
გურია: ნიკურაძე, თ. ჩხაიძე (ლ. ჩხაიძე, 58), ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, ფირცხალაიშვილი, სვანიძე, შავშიშვილი, დ. მახარაძე, გულორდავა, ენუქიძე, ბოლქვაძე (ჭიაბრიშვილი, 46).
გოლები: გოგოხია (10, 50, 54), დ. მახარაძე (83, 89 პ.), ვახანია (85).
გააფრთხილეს: ჭურღულია, ენუქიძე, აფაქიძე, თ. ჩხაიძე, შავშიშვილი.
მსაჯი: თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

კოლხეთი-1913 (ფოთი) — დილა (გორი) 2-3

კოლხეთი-1913: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გიორგაძე, ქობულაძე (შავგულიძე, 46), ამაშუკელი, ღაღანიძე, ჩადუნელი, კალანდაძე, ე. გვასალია, ტრაპაიძე.
დილა: სოღოლაშვილი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, ვ. სამხარაძე, გაგნიძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი (სულთანიშვილი, 96), ლომიძე, ახალკაცი (მ. მინდიაშვილი, 77), შატაკიშვილი (არუთინიანი, 84).
გოლები: ახალკაცი (30, 36), ღაღანიძე (85), მინდიაშვილი (88 პ), შავგულიძე (90).
გააფრთხილეს: კალანდაძე, ლომიძე, ჩადუნელი.
მსაჯი: ვლადიმერ ელოევი (ცხინვალი).

იბერია (სამტრედია) — არსენალი (თბილისი) 3-1

იბერია: დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, მიქელაძე (ცომაია, 80), თოდუა, გ. გიგიაძე, ხუჭუა, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (მუმლაძე, 82), ვარდიაშვილი (ფილიპაშვილი, 84).
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ლაცაბიძე, გველესიანი, დ. კაპანაძე, მ. მაისურაძე, ხოსროშვილი, კაკუბავა, სულაძე (ზ. მეტრეველი, 76), გაბისონია, კვირკველია.
გოლები: ივეჩიანი (15), გველესიანი (43), ლურსმანაშვილი (55), ხუჭუა (75).
გააფრთხილეს: ცოტაძე, კაკუბავა, თოდუა.
მსაჯი: სოსო შალამბერიძე (თბილისი).

გორდა (რუსთავი) — მერანი-91 (თბილისი) 0-3

გორდა: მ. ქორიძე, კედელაშვილი, ბექაური (ტარტარაშვილი, 64), თ. ჩიგოშვილი (ბერიძე, 52), გაბელია, ინასარიძე, მ. მელაძე, ზირაქაძე, კიტეიშვილი, მენთეშაშვილი (ლ. ალადაშვილი, 40), მიშველაძე.
მერანი-91: ლომაია, ცქიფურიშვილი, ე. ალადაშვილი, ბ. ამბიძე (კარიაული, 46), ჭინჭარაული, გელა ქორიძე (დ. ჭელიძე, 83), ჯიშკარიანი, თოლორდავა, ჩუხუა, ხუციშვილი, დავითაშვილი (ხარება, 85).
გოლები: ამბიძე (14), ჩუხუა (23, 50).
მსაჯი: გურამ ასკაროელი (ქარელი).

დინამო (ბათუმი) — ტორპედო (ქუთაისი) 2-1

დინამო: ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე (ქუტიძე, 82), სიჭინავა, გადელია, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაქაცარია (თორღაშვილი, 46), მაჭუტაძე (რუსია, 60), ხომერიკი.
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი (თურმანიძე, 33), ჩხაბერიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე (მეტრეველი, 80), ჩხეტიანი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, იონანიძე.
გოლები: გადელია (20), ახვლედიანი (28), ხომერიკი (78).
გააფრთხილეს: ხვადაგიანი, შეყრილაძე.
მსაჯი: სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

ამ მატჩში ორივე გუნდს ჰქონდა დასახული პროგრამა მაქსიმუმი. მასპინძლებს სათასო მატჩებში ხელმოცარვისა და ჩემპიონატში ბოლო დროს უღიმღამო გამოსვლის შემდეგ, საკუთარი გულშემატკივრის თვალში უნდა დაებრუნებინა რწმენა, სტუმრებს კი, რომლებიც გათამაშების ცხრილში მეორე საფეხურზე არიან, ცხადია, პოზიციის გამყარება სურდათ.

მატჩი ორმხრივი დაზვერვით დაიწყო და პირველი ტაიმის მესამედი ისე მიიწურა, გარკვეულ უპირატესობას ვერც ერთმა მეტოქემ ვერ მიაღწია, მეტიც, საგოლე მომენტებიც არ შექმნილა. შემდეგ მეკარესთან პირისპირ გადიოდა მეგრელაძე და „ტორპედომ“ ლამის საწადელს მიაღწია, მაგრამ მცველებმა იყოჩაღეს. სულ მალე კი იონანიძემ ძელს მოახვედრა ბურთი, მასპინძელთა ეპიზოდურმა კონტრშეტევებმა მწვავე ხასიათი მიიღო. მე-20 წუთზე მარცხენა ფრთიდან კუთხური ჩააწოდა „დინამომ“, მცველები შეცდნენ, რაც საკმარისი იყო, რომ გადელიას პირველი გოლი გაეტანა – მეკარის ნახტომი ამაო გამოდგა.

ქუთაისელები ტემპს არ აგდებდნენ და სულ შვიდიოდე წუთი დასჭირდათ, რომ გოლი გაექვითათ. ეს ახვლედიანმა შეძლო. დაწინაურების შანსი მიეცათ ხომერიკს და მაჭუტაძეს, მაგრამ მეკარე აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.

შესვენების შემდეგ ქუთაისელები პირდაპირ აბობოქრდნენ და სამი სახიფათო საგოლე მომენტი შექმნეს 10 წუთში (ჯანაშია, მეგრელაძე, კვეტენაძე). ერთი შეტევა დაცვამ მოიგერია, ორი – მეკარემ. სტუმრები ხან მარცხენა, ხან მარჯვენა ფლანგიდან ავიწროებდნენ მეტოქეს. ბათუმელები შემართული ხვდებოდნენ იერიშებს, ყველა ხელსაყრელ მომენტს კი თავად იყენებდნენ კარის დასალაშქრად. ერთი ასეთი შეტევა გამარჯვების მომტანი გოლითაც დასრულდა. ჭიჭვეიშვილი ელვისებურად შეიჭრა საჯარიმოში, უკან ჩამოიტოვა ორი მცველი, ჭანტურიამ კარი დატოვა, წინ გამოიჭრა, მაგრამ ჭიჭვეიშვილმა უმალვე ბურთი ხომერიკს გაუგორა, რომელსაც ისღა დარჩენოდა, დაახლოებით სამი მეტრიდან დინჯად შეეგორებინა კარში.

დარჩენილ დროში მეტოქეები ბედს არ შერიგებიან, თუმცა მეტის რეალიზება ვეღარ მოახერხეს.

ამ დღეს განსაკუთრებით კარგად ითამაშა ბათუმელთა მეკარე ტოგონიძემ.

ოთარ მურვანიძე,
„ლელოს“ კორ. ბათუმიდან

განახლდა ფეხბურთში საქართველოს II ჯგუფის ჩემპიონატის მატჩები

აღმოსავლეთი მხარის «ა» ქვეჯგუფი

II წრე: მრეტები (თბ) – შსს აკადემია (თბ) 0-2, კახეთი (თელავი) – არსენალი-2 (თბ) 2-0, ჭაბუკიანი – ყვარელი 1-0, ხალიბი-97 (რუსთავი) – ალგეთი (მარნეული) 0-0, ქანაგკო (სართიჭალა) – უნივერსიტეტი – იბერია (თბ) 0-1, ღარწყალი (ძვ. ანაგა) – ალაზანი (გურჯაანი) 1-0, ზოოვეტი (თბ) – დინამო-3 (თბ) 1-1.

«ბ» ჯგუფი:

მესხეთი (ახალციხე) – ივერია (ხაშური) 1-1, საუ (თბ) – ლოკომოტივი-2 (თბ) 3-3, ჟინერი (ჟინვალი) – იბერია (ქარელი) 0-3, განთიადი (კასპი) – დილა-2 (გორი) 3-0, დინამო-2 (თბ) – ვარძია (ასპინძა) 4-0, თორი (ბორჯომი) – ცხინვალი 0-2.

„ჟინერს“ ალბათ გათამაშებიდან გარიცხავენ

ქარელელებთან შეხვედრაში ჟინვალის ჟინერი საკუთარ მინდორზე არ გამოცხადდა და წაგება ჩაეთვალა. მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. როგორც სფფ-ში გვითხრეს, ჟინვალელებს, როგორც ამას გათამაშების დებულება მოითხოვს, გათამაშებიდან გარიცხავენ. ეს უკვე მათთვის მეორე შემთხვევაა.

თუ ასე გაგრძელდა, როგორც ჩანს, სფფ-ს დიდი თავის მტვრევა არ მოუწევს მონაწილე გუნდების შემცირების პრობლემის გადასაჭრელად. როგორც ჩანს, ისინი თავად გამოაკლდებიან ჩემპიონატს.

გამოხმაურება

ვეძებოთ ეროვნულ ნიაღში

მამუკა კვარაცხელიას მიერ გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე წამოჭრილი პოლემიკა ეროვნული ჩემპიონატის ჰიმნის, გერბის, მარშის შესახებ, შეუძლებელია არ აღელვებდეს ნებისმიერ ფეხბურთის მოყვარულს. მე ჩემი მოსაზრება მაქვს და მინდა მკითხველებსაც გავუზიარო.

რაც შეეხება ჩემპიონატის ჰიმნს. როგორც სადისკუსიო წერილის ავტორი აღნიშნავს, მატვეი ბლანტერის საფეხბურთო მარშზე უმჯობესი ალბათ მსოფლიოში არ მოიპოვება. იქნებ ბევრმა არ იცის, რომ რუსებმა იგი შეინარჩუნეს. ვემხრობით იმათ, ვინც მიიჩნევს, რომ ჩვენ ჩვენი ეროვნული ჰანგები უნდა დავამკვიდროთ. მაგალითად, მუსიკა კინოფილმიდან „პირველი მერცხალი“ მეც უნიკალურ მელოდიად მესახება, ქართული მარშის ჰანგებად ალბათ ასევე უნიკალურია „ჩემო ტბილო მეგობაროს“ მოტივი.

ეს მუსიკა საზეიმოდ ჟღერდა ხოლმე „დინამოს“ და „ქარიშხალას“, ახლანდელი „ლოკომოტივის“ სტადიონებზე.

დემურ ტორაძე

შთაბეჭდილება

ასეთი ტურნირები მოზარდთა შორის დიდ ინტერესს მხოლოდ მონაწილეთათვის როდი იწვევს – ქართული ფეხბურთის ნაღდი ქომაგებიც ადევნებენ თვალყურს მათ თამაშს. ასე იყო ათეული წლების წინათაც, როცა 35-ე საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები „ათვინიერებდნენ“ ბურთს, მერე კი ისინი სახელოვანი ოსტატები გახდნენ.
ამჯერად მ. მესხის სახელობის პირველობის ერთ-ერთი მატჩის შთაბეჭდილებას გვიზიარებს ჩვენი კოლეგა ვაშა ჰიაურელი.

დავესწარი „ნორჩი დინამოელის“ (მწვრთნელი თემურ თვალჭრელიძე) და „კავკასიონის“ გუნდების შეხვედრას მიხეილ მესხის სახელობის პირველობაზე. ეს იყო ამ გათამაშების II წრის პირველი მატჩი.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს „დინამოელებმა“, მათ შესანიშნავად, გააზრებულად ითამაშეს და მოიგეს ეს შეხვედრა 3-0, რის შესახებ „ლელო“ უკვე იტყობინებოდა. მე კი აი, რას მინდა მივაქციო ყურადღება. „დინამოელთაგან“ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყველაზე ტანმორჩილი ფეხბურთელი №18, ნიკა საჯაია. ამ ბიჭმა მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა. თვალშისაცემი ის იყო, რომ იგი არ გაჩერებულა არც ერთ წამს, სულ მოძრაობაში იყო, კარგად იხსნებოდა და კარგადაც მანევრირებდა უბურთოდ, შესანიშნავად თამაშობდა თავით და პასებითაც ამარაგებდა პარტნიორებს. ერთ-ერთ ეპიზოდში საჯარიმო დარტყმით ჩამოწოდებულ ბურთს, ეს ჩია ტანის ყმაწვილი ოსტატურად შეეგება და ქუსლით, ძნელი მდგომარეობიდან გაგზავნა მეკარისგან მარჯვნივ დაბალ კუთხეში, მაგრამ „კავკასიონის“ მეკარემ აკრობატული ნახტომით იხსნა თავისიანები აშკარა გოლისაგან. გამოვყოფდი აგრეთვე დინამოელ გია ვიბლიას. საერთოდ, ამ გუნდში ბევრი კარგი მოზარდი თამაშობს.

ვაშა ჰიაურელი,
საქართველოს რკინიგზის გაზეთ „ევრაზია-ექსპრესის“ კორესპონდენტი, საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ პრეს-ატაშე

სლავა მეტრეველის სახელობის პირველობის II წრის მატჩები

I ჯგუფი: ამირანი-2 – დინამო-1 1-3; II ჯგუფი: ვაჟა-2 – ამირანი-1 1-4, დინამო-2 – ამირანი-1 2-2; IV ჯგუფი: ვაჟა-3 – ხუბაევი 2-4, ფეიქარი – სიონი-1 3-0, ავაზა-2 – მთვარის გლობუსი 0-3, ატალა – დინამო-85 4-1, მერანი – ხუბაევი 0-1, დინამო-85 – ვაჟა-3 6-0, მთვარის გლობუსი – სიონი 5-1.

გუნდი საკუთარ მინდორზე არ გამოცხადდა

ავაზა-2 მთვარის გლობუსთან შეხვედრაში არ გამოცხადდა საკუთარ მინდორზე და წაგება ჩაეთვალა. მაგრამ დებულების შესაბამისად, იგი სანქციას იმსახურებს. სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტი ამ საკითხზე ცალკე იმსჯელებს.

XVIII ტურის სტატისტიკა

● ტურის „მიღწევად“ შეიძლება ჩაითვალოს თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ზედიზედ შესაბამისად მე-7 და მე-6 გამარჯვებები. საგულისხმოა აგრეთვე, თბილისის „ლოკომოტივმა“ მეორე წრის სამ შეხვედრაში სამივე ბურთი 11 მეტრიანით გაიტანა. აღსანიშნავია ისიც, რომ „ვიტ-ჯორჯიას“ 4 თამაშია, ე.ი. 360 წთ გოლი არ გაუშვია. ზუგდიდის „ოდიშს“ კი ამდენივე თამაშში გოლი არ გაუტანია. სამტრედიის „იბერიას“ – 3 თამაშში.

● ტურში გატანილია 14 გოლი. მასპინძლებმა შეაგდეს 9 ბურთი, სტუმრებმა კი – 5.
პირველ ნახევარში გატანილია 6 ბურთი, მეორეში – 8.

● მასპინძლებმა გაიმარჯვეს 4 შეხვედრაში, ფრედ დამთავრდა 2 მატჩი, სტუმრებმა გაიმარჯვეს 2 შეხვედრაში.

● ტურში დაინიშნა 2 პენალტი (ორივე რეალიზებულია).
ჩემპიონატის დაწყებიდან დანიშნულია 50 პენალტი, აქედან მასპინძლებმა დაარტყეს 36, რაც შეადგენს დანიშნული პენალტების 72 %-ს, ხოლო სტუმრებმა დაარტყეს 14-28 %.

● „მშრალად“ შეინახეს თავიანთი კარი მეკარეებმა: სოღოლაშვილმა – „დილა“, ასლანიძემ – „სამგურალი“, გვარამაძემ – „დინამო“ თბ; ჯანელიძემ – „ლოკომოტივი“, ჭურაძემ – „ვიტ-ჯორჯია“ და ჭანტურიამ – „ტორპედო“. შესრულებულია ერთი „ჰეთრიკი“ (ე. გვასალია – „კოლხეთი“).
ჩემპიონატის დაწყებიდან ეს მე-7 „ჰეთრიკია“ (მანამდე ეს შეძლეს: სუხიაშვილმა – „კოლხეთი“, დ. ჯანაშიამ – „ტორპედო“, ტუღუშმა – „დინამო“ ბთ; დ. მახარაძემ – „გურია“; ცქიტიშვილმა და ალექსიძემ – ორივე „დინამო“ თბ.)

● ტურში დაფიქსირდა ერთი „ავტო“ გოლი (მაჩიტიძე – „გურია“). ეს ჩემპიონატის დაწყებიდან მე-3 „ავტო“ გოლია.

● გააფრთხილეს 28 ფეხბურთელი. ყველაზე „უხეში“ მატჩი იყო: „გურია“ – „კოლხეთი“, სადაც გაფრთხილება მიიღო 6 ფეხბურთელმა.

● **ბომბარდირები:**
მ. აშვეთია („დინამო“ თბ) – 16 ბურთი.
ზ. იონანიძე („ტორპედო“) – 15 (აქედან 5 პენალტიდან)
ჰ. წივწივაძე („ლოკომოტივი“) – 11
ე. გვასალია („კოლხეთი“) – 11
დ. მახარაძე („გურია“) – 10 (1 პენალტიდან)
ა. კაიდარაშვილი („დილა“) – 9 (1)
გ. მეგრელაძე („ტორპედო“) – 9
ლ. ცქიტიშვილი („დინამო“ თბ) – 8 (2)
ლ. ხომერიკი („დინამო“ თბ) – 8
რ. ალექსიძე („დინამო“ თბ) – 8
დ. ჯანაშია („ტორპედო“) – 8.

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი სოფ. ფშაფი.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

200 მაყურებელი 100-ათასიან სტადიონზე?

ორი წლის წინათ სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივი“ რუსეთის პირველ დივიზიონში „ფელაზე ქართულ“ კლუბად ითვლებოდა. აქ მთავარ მწვრთნელ გივი ნოდიას ჰყავდა ძმები კილასონიები, მეკარე ჭანტურია, ჩხაბერიძე, ბურნაძე, ხუნდაძე. მათგან ახლა „ლოკომოტივში“ მხოლოდ ხუნდაძე თამაშობს.

კორესპონდენტი — გივი ნოდიას:

● *თქვენ მნიშვნელოვნად გაამეიერეთ შემადგენლობა. „ლოკომოტივში“ ჩაირიცხა ოთხი სომეხი ფეხბურთელი, სამი მოთამაშე სმოლენსკის „კრისტალიდან“, ლოგინოვი „სატურნიდან“. გუნდის დამფუძნებლები სერიოზულ მიზნებს ისახავენ?*

— მიზნებზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა „გავისროლოთ“ წელს ან მერმისს. მართლაც კარგი გუნდი შეიქმნა, რომელსაც ბევრი რამ შეუძლია. მაგრამ იმ მიდგომის წინააღმდეგი ვარ, რუსეთის

გივი ნოდია

პირველ დივიზიონში რომ აქვთ: აი, ფული გაჩნდა, ადექით და უმაღლეს დივიზიონში გადადით. იმაზე კი ნაკლებად ფიქრობენ: არის კი ამისათვის მზად ქალაქი, კლუბი, მზად არიან თუ არა საამისოდ გულშემატკივრები. მზად უნდა იყოს ყველაფერი, სრული კომპლექსი. ახლა ჩვენ სწორედ იქითკენ მივდივართ.

● *„ლოკომოტივი“ მატჩებს თითქმის უმაყურებლოდ ატარებს (100 ათას-ადგილიან სტადიონზე საშუალოდ 200 მაყურებელი თუ მოდის — რედ.). ძალიან ძნელია?*

— რა თქმა უნდა, ძნელია. მაგრამ ჩვენ ასეთ პირობებში გამარჯვებაც ვისწავლეთ. თუმცა მაყურებლებთან მუშაობა ჩვენთვის აქტუალური და მნიშვნელოვანია. ის, რომ უმაყურებლობას ქალაქიდან სტადიონის დაშორებით ხსნიან, ეს ჩემთვის დამაჯერებელი არ არის. 80-იან წლებში ხომ სტადიონი იქვე იყო, „ზენიტის“ მატჩებს კი 100 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. აქ მთავარია თამაშის ხარისხი, საჭიროა გამარჯვებები. მაშინ „ლოკომოტივსაც“ ეყოლება მაყურებელი.

ნომრიდან ნომრამდე

● **„მონაკომ“ თავის 21 წლის ფორვარდ დევიდ ტრეზეგესთან, რომელიც საფრანგეთის ეროვნული გუნდის ღირსებასაც იცავს, 2004 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი.**

● **მექსიკამ** ოფიციალური თხოვნით კი მიმართა ფიფას 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის თაობაზე, მაგრამ ფიფამ მყისვე უარი სტკიცა ლათინოამერიკელებს — მექსიკამ ფიფაში შესაბამისი განაცხადის შეტანა დადგენილი ვადის მერეღა მოიაზრა.

● **ბუნდესლიგის „ბოხუმის“ 36 წლის ფორვარდმა, ევროპის 1996 წლის ჩემპიონმა შტეფან კუნცმა გერმანიის ჩემპიონატის ბოლო მატჩში „დუისბურგთან“ ისეთი ტრავმა მიიღო, რომ თვენახევრით მოუწევს ფეხბურთთან განშორება.**

„კრილია სოვეტოვი“ – აზერბაიჯანის ნაკრები 3–0

კვიპროსზე მყოფმა აზერბაიჯანის ნაკრებმა ამხანაგური მატჩი გამართა სამარის „კრილია სოვეტოვის“ გუნდთან და დიდი დამარცხება განიცადა — 0–3.

გოლები გაიტანეს ფოფხაძემ (პენალტით), გუნდში „ზენიტიდან“ გადმოსულმა კულკოვმა და პეტროსიანცმა.

როგორც სამარელთა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ ტარხანოვმა განაცხადა, აზერბაიჯანელებს ერთი სახიფათო მომენტიც კი არ შეუქმნიათ.

კლემენტეს სკალა შეცვლის

როგორც ესპანეთის ნაკრების ყოფილმა ხელმძღვანელმა, ახლა კი სევილიის „ბეტისის“ მთავარმა მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ განაცხადა, სეზონის დამთავრების შემდეგ იგი კლუბს აუცილებლად დატოვებს. ამის მიზეზი კლუბის მესვეურებთან უთანხმოებაა, რომლებიც მწვრთნელს არ უთანხმებენ მოთამაშეების ყიდვა-გაყიდვას.

როგორც ფიქრობენ, კლემენტეს შეცვლის ცნობილი იტალიელი მწვრთნელი ნევიო სკალა.

„რასინგი“ გაძარცვა

არგენტინულ კლუბ „რასინგის“ გულშემატკივრებს, რომლებიც ძალზე შეწუხებული იყვნენ დიდი ვალების გამო მისი გაუქმების საშიშროებით, ახლა იმედი მიეცათ.

ქალაქ ლა-პლატას სასამართლო ორგანოებმა ოფიციალური განცხადება გაავრცელეს იმის შესახებ, რომ მათ „არასოდეს განუზრახავთ კლუბის გაუქმება“, და, რომ მათი სიტყვები „არასწორად გაიგეს“. ახლა, თუმცა „რასინგს“ ვალები არ გადაუხდია, იგი კვლავ განაგრძობს თამაშს არგენტინის პირველობაზე.

„რასინგის“ შესაძლო ლიკვიდაციამ გულშემატკივრების ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ მათ არაერთი აქცია ჩაატარეს. სამი მათგანი ჯაჭვებით მიემაგრა „რასინგის“ რეზიდენციას.

„რასინგის“ პრეზიდენტმა დანიელ ლალინმა ოფიციალურ მიმართვაში დიდი მადლობა გადაუხადა ყველა გულშემატკივარს. კლუბს მთავრობაც დაეხმარა. არგენტინის ვიცე-პრეზიდენტმა კარლოს რუკაუფმა მოამზადა კანონის პროექტი, რომელიც კლუბს „ისტორიულ მემკვიდრედ“ აცხადებს და ერთი წლით ვალების გადახდისაგან ათავისუფლებს.

ფეხბურთში ფეხმოკიდებული კორუფცია

უნგრეთის სამთავრობო კომისიამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მუშაობაში არაერთი ფინანსური დარღვევა აღმოაჩინა. აქ იგივე ხდება, რაც შარშან პოლონეთსა და ბულგარეთში აღინიშნა.

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ატილა კოვაჩი ამტკიცებს, რომ საქმე ისე ცუდად არ არის, როგორც ეს პრესაში აისახება. თუმცა არც ის, და არც სამთავრობო კომისია არ ასახელებენ ფედერაციის ვალის რაოდენობას, მაგრამ კოვაჩმა მაინც უარყო ხმები მისი ორგანიზაციის გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ. თუკი მთავრობამ უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის მუშაობა შეაჩერა, მაშინ ეს აუცილებლად გამოიწვევს კონფლიქტს ფიფასთან, რომელიც ყოველთვის იყო სპორტში სახელმწიფო ორგანოების ჩარევის წინააღმდეგი.

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა იგნაც იჟომ უნგრელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დავალიანების დიდი ნაწილი გაუთვალისწინებელმა ხარჯებმა გამოიწვია. ფედერაცია შეეცადა საკუთარი სპორტული ტელეარხი ჰქონოდა, ეს კი 60 მილიონი ფორინტი (277 ათასი დოლარი) დაჯდა. დაარსდა ახალი ყოველკვირეული სპორტული ჟურნალი, რასაც 115,5 ათასი დოლარი მოხმარდა. იმის გამო, რომ არ მოხერხდა ხელშეკრულების დადება პირველი დივიზიონის მატჩების ტელეგადაცემების შესახებ, ფედერაციამ 185 ათასი დოლარი დაკარგა და ა.შ.

ეს ყველაფერი, როგორც ფიქრობენ, მხოლოდ ზედაპირულია, სინამდვილეში კი უნგრულ ფეხბურთში კორუფცია სუფევს.

გაუფრთხილებელი ლაპარაკის შედეგი

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით დაიწყება გამოძიება „რომას“ პრეზიდენტ ფრანკო სენსის განცხადებასთან დაკავშირებით. სენსიმ ტელეინტერვიუში თქვა, რომ საქმის აღძრას აპირებს მსაჯების წინააღმდეგ, რომლებიც მოლაპარაკებულნი არიან და „რომას“ წინააღმდეგ მოქმედებენ. მისი მოთმინების ფიალა მას შემდეგ აივსო, რაც, „რომას“ კარში „უდინეზესთან“ შეხვედრაში დაუმსახურებელი პენალტი დაინიშნა და „უდინეზემ“ მოიგო ანგარიშით 2-1. „რომას“ პრეზიდენტი თვლის, რომ მისი კლუბი ხშირად ხდება მსაჯების ძალმომრეობის მსხვერპლი. დეე, მას სასამართლოს გზით ზარალი გადაუხადონ. „ჩვენ ხომ არ შეგვიძლია გულხელდაკრეფილი ვიყოთ. შევეცდებით იმ პირების მოძებნას, რომლებიც ყოველივე ამ კანონდარღვევებს ხელმძღვანელობენ. „რომა“ სასამართლოს მიმართავს. სხვანაირად არც შეიძლება მოიხსნას ეჭვი, რადგან ილახება ჩვენი იმიჯი, დაზარალდნენ კლუბის აქციონერები, გულშემატკივრები და ქალაქი“.

ამის საპასუხოდ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ სენსის ეს ტელეინტერვიუ უყურადღებოდ არ დარჩენილა. ახლა მან ყველაფერი უნდა აუხსნას იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ პირებს. ცნობილია, რომ სენსი ადრეც არაერთგზის აკრიტიკებდა ფედერაციის პრეზიდენტ ლუჩანო ნიჩოლას და მსაჯების დანიშვნის წესებსაც. თვით პრეზიდენტიც უპასუხოდ არ დარჩენილა: „მისი სიტყვები ყოველგვარ აზრს მოკლებულია, სრულიად უსაბუთოა ის, რომ მსაჯები უპატიოსნონი არიან, აბსოლუტური სიცრუეა“.

ჯოშაკი ფელდკამპმა შეცვალა

მას შემდეგ, რაც ჯონ ტოშამა სტამბოლის „ბეშიქთაშში“ დატოვა და მადრიდის „რეალს“ ჩაუდგა სათავეში, თურქულმა კლუბმა დაუყოვნებლივ მიიწვია გერმანელი სპეციალისტი კარლ-ჰაინც ფელდკამპი.

მისი მიწვევა თურქეთში შემთხვევითი არ არის. ფელდკამპი კარგად იცნობს იქაურ ფეხბურთს — 1992-93 წლების სეზონში სტამბოლის „გალათასარაის“ ედგა სათავეში.

მკითხველი – გაზეთი ის ბლოხინია?..

ამას წინათ „რუსულ პრესაში თვალი მოვკარი მაინტრიგებელ სათაურს — „კოკნკოვმა შეკრებაზე არ წაიყვანა ბოლოხინი“. გთხოვთ განმიმარტოთ, ეს ანაქრონიზმია თუ კიეველი ვეტერანი კვლავ „მწყობრშია“.

მ. ბერიძე (თბილისი)

მართალია ის, რომ ანატოლი კონკოვმა, რომელიც უკრაინის უმაღლესი ლიგის „ვორსკლას“ მწვრთნელი გახდა, სეზონისწინა შეკრებაზე არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში შეკრებაზე არ წაიყვანა ოლეგ ბლოხინი, სულ ახლახან რომ დადო სამწლიანი კონტრაქტის ხელშეკრულება პოლტავის გუნდთან. ბლოხინმა შინ, „ვორსკლა-2“-ის შემადგენლობაში არჩია სეზონისათვის მზადება.

ლაპარაკია, რა თქმა უნდა, არა 70-80-იანი წლების კიევის „დინამოს“ სახელგანთქმულ ფორვარდზე, იგი ახლა ბერძნულ კლუბს წვრთნის.

საქმე ისაა, რომ კიეველი ბლოხინი, როცა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, პოლტაველი ოლეგ ბლოხინი ჯერ დაბადებულიც არ იყო. მიუხედავად ამისა, 18 წლის „ვორსკლა“ ბლოხინზე ვერ იტყვი, რომ ახალბედაა ფეხბურთში. დონეცკის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის აღზრდილმა შარშანდელი სეზონი პირველი ლიგის კრემენჩუგის „კრემენში“ გაატარა, ამასთან, თავის სახელოვან სხვნისაგან განსხვავებით უმცროსი ბლოხინის ამპლუა თავდამსხმელობა კი არა, დაცვაში თამაშია... და ალბათ ბევრი უკლია საყოველთაო აღიარებამდე, როგორიც კიეველი იყო.

„აბლეტიკოს“ რანიერი უხელმძღვანელებს?

იტალიელი მწვრთნელები ესპანეთში მზარდი ავტორიტეტით სარგებლობენ. გავიხსენოთ ფაბიო კაპელოს ადრინდელი ტრიუმფი მადრიდის „რეალში“, კლაუდიო რანიერის დიდი მიღწევები „ვალენსიაში“, რომელიც ახლა ესპანეთის ჩემპიონობის პრეტენდენტია.

ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო რანიერის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი აღარ აპირებს „ვალენსიასთან“ კონტრაქტის განახლებას. ამის მიზეზად მიაჩნიათ მისი მოლაპარაკება მადრიდის „ატლეტიკოსთან“, რომელიც ახლახან დატოვა არიგო საკიმ, და, საერთოდ, ვერც ერთმა სპეციალისტმა ამ გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა.

— დიახ, ჩვენ გვქონდა მოლაპარაკება სინიორ რანიერისთან, — განაცხადა მადრიდის „ატლეტიკოს“ დირექტორა-აღმასრულებელმა მიგელ ანხელ ხილმა, კლუბის მეპატრონე ხესუს ხილის შვილმა, — თუმცა ჯერ ყველაფერი გადაწყვეტილი არ არის.

ამ სამი წლის წინათ მადრიდის „ატლეტიკო“ იუგოსლავიელ მწვრთნელ ანტიჩის ხელმძღვანელობით ქვეყნის ჩემპიონი იყო, შემდეგ კი...

რეკორდი – 45 ათასი

დამყარდა მაყურებლის დასწრების რეკორდი საფრანგეთის მეორე დივიზიონისათვის. ეს მოხდა პარიზის „რედ სტარის“ თამაშზე, რომლის შემადგენლობაში ამ რამდენიმე წლის წინათ გამოდიოდნენ რუსი ფეხბურთელები ფედორ ჩერენკოვი, სერგეი როდიონოვი და ალექსანდრ ბუბნოვი.

ამ კლუბის მატჩს, რომელიც „რედ სტარმა“ წააგო 1-2 ერთ დროს საფრანგეთის უძლიერეს გუნდ „სენტ-ეტიენთან“, დაესწრო 45 ათასი მაყურებელი. „რედ სტარი“ მეორე დივიზიონში დარჩენისათვის იბრძვის, თამაშით კი მსოფლიო პირველობისათვის სპეციალურად აშენებულ „სტად ფრანსეზე“ თამაშობს. როცა დედაქალაქის მთავარ კლუბ „პარი სენ-ჟერმენს“ ამ სტადიონზე გამოსვლები შესთავაზეს, მან უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ შეჩვეული „პარკ დე პრენსი“ ურჩევნია.

თამაში მხოლოდ ყოველმა მეხუთემ იცის

არგენტინულ კლუბ „ინდეპენდიენტეს“ მთავარი მწვრთნელი სესარ ლუის მენოტი, რომელმაც 1978 წელს არგენტინის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონობა მოაგებინა, ძალიან დაბალი აზრისაა თანამედროვე ფეხბურთელებზე. მისი სიტყვით, მათმა 80-მა პროცენტმა, უბრალოდ, ფეხბურთის თამაში არ იცის.

არგენტინულ გაზეთ „ოლე“-სთვის მიცემულ ინტერვიუში მენოტიმ განაცხადა, რომ ეს მოთამაშეები ყველა პრობლემას მოჭილობის, სისწრაფისა და კარგი ტექნიკის გზით წყვეტენ. რაც შეეხება მინდვრის ხედვასა და თამაშის გაგებას, ეს თანამედროვე ფეხბურთელების დიდ უმეტესობას საერთოდ არა აქვს.

— ნიჭიერი ფეხბურთელი რომ უნიჭოსაგან გავარჩიოთ, ამას დიდი დრო არ უნდა. ამასთან, მენოტიმ განაცხადა, რომ იგი ჯადოქარი კი არა, უბრალოდ, მწვრთნელია, რომელიც ცდილობს ფეხბურთელებს თამაშის გაგება ასწავლოს.

პრესკონფერენცია

ქართველთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა ძმური ექსპედიცია ევერესტისკენ დაიძრა

სპორტული მეგობრობა ისე მყარია, რომ მისთვის არათუ ეროვნული შუღლი, უბრალოდ, უნდობლობის ეჭვიც კი წარმოუდგენელია, მით უფრო, თუ საქმე გვაქვს ალპინისტებთან. ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მთამსვლელები კარგა ხანია დევიზით: „მშვიდობიანი მთები“ ძმურად დადიან მთებში და ადიან მწვერვალებზე. ახლა კი მათ გადაუწყვეტიათ ერთობლივად დალაშქრონ მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (8848). სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, ჩვენთვის კი უკვე – მეორე, როცა ევერესტისკენ მივიწევთ.

ეს ექსპედიცია, როგორც ვთქვით, ინტერნაციონალურია და სახელსაც საერთოს ატარებს – „კავკასია-99“.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ექსპედიციის ხელმძღვანელმა ბენო ქაშაშვილმა ვრცლად ისაუბრა დაგეგმილ ლაშქრობაზე. გუნდში მის გარდა არიან ბიძინა გუჯაბიძე, აფი გიგანი, ლევონ სარქისიანი (სომხეთი) და სარიდა მურსაკულოვი (აზერბაიჯანი). სარქისიანი ექსპედიციის უხუცესი წევრია (იგი მწვრთნელიცაა) და შეიძლება გინესის წიგნშიც მოხვდეს, თუ იმ ამერიკელის რეკორდს მოხსნის, რომელიც 60 წლისა და 37 დღისა ასულა ევერესტზე. სარქისიანიც დაახლოებით ამ ასაკისაა, მთავარია, მწვერვალზე ფეხშედგმის დროს რამდენი დღით იქნება გადაცილებული 60 წელს. ექსპედიცია ასვლას გეგმავს აპრილ-მაისში, მოსამზადებელი პერიოდი კი 70 დღეს მოიცავს.

სომხეთსა და აზერბაიჯანს თავიანთი წარმომადგენლები დაუფინანსებიათ, ჩვენებს კი მხოლოდ მორალური მხარდაჭერა და შესაძლებლობის ფარგლებში თანადგომა აღმოუჩინეს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა და სეოკ-მა. სწორედ ფინანსური ხელმოკლეობის გამო საქართველოდან ექსპედიციის კიდევ ერთი წევრის გამგზავრების საკითხი გუშინდლამდე გადაწყვეტილი არ იყო. ჩვენს ალპინისტებს სპონსორები დაეხმარნენ, რომელთაგან უმთავრესია „ავსტრიის ავიახაზები“, რომლის წარმომადგენელმა ქალბატონმა ევა ბერგერმა მონაწილეობა მიიღო პრესკონფერენციაში და ექსპედიციის წევრებს მგზავრობის ავიაბილეთები გადასცა. ექსპედიცია დღეს უნდა გაფრინდეს ვენაში, საიდანაც კურსს აიღებს ნეპალისკენ.

ექსპედიციას გზა დაულოცა და გამარჯვება უსურვა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მურთაზ მნათობიშვილმა.

სააგენტო
„ბუმათე“ -„ლელო“

სამარანჩს რწმუნებულებები გაუგრძელდა

ხუთი წევრი კი სოკ-ის რიგებიდან გაირიცხა

ლოზანაში გამართულ სოკ-ის საგაზაფხულო სესიაზე განხილული იქნა პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩის რწმუნებულებების საკითხი. სესიის წევრებმა სოკ-ის პრეზიდენტს ნდობა გამოუცხადეს და უფლებები 2001 წლის მოსკოვის კონგრესამდე გაუგრძელეს. უფლებების გაგრძელებას 90 დელეგატიდან ხმა მისცა 86-მა, ორი წინააღმდეგი იყო, ერთმა თავი შეიკავა, ერთი ბიულეტენიც ბათილად ცნეს.

ოლიმპიურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა კორუფციის ბრალდებით გარიცხა თავისი 5 წევრი.

78 წლის სმისლოვი კვლავ თამაშობს

თავისებური კურიოზია – 78 წლის ვასილ სმისლოვი, რომელიც ოდესღაც მსოფლიო ჩემპიონი იყო, სულაც არ აპირებს ჭადრაკისათვის თავის დანებებას. იგი თითქოს, მხედველობის დაქვეითების გარდა, არაფერს უჩივის.

ამას წინათ, ვეტერანს რამდენიმე კითხვით მიმართა გერმანულ ჟურნალ „როხადეს“ კორესპონდენტმა.

● *75 წლისა რომ შესრულდით, ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა ყოველთვიური პენსია დაგინიშნათ 1000 დოლარის ოდენობით. რეგულარულად იღებთ ამ თანხას?*

– მეტნაკლებად. თქვენ იცით, რა მძიმე მდგომარეობაა ამჟამად რუსეთში.

● *როგორია თქვენი მხედველობა?*

– მას შემდეგ, რაც 1998 წლის შემოდგომაზე ოპერაცია გავიკეთე, უკვე რამდენიმე თვეა კარგად ვხედავ.

● *სად გაიკეთეთ?*

– ნიცაში. ამ ოპერაციის საფასური ჰოლანდიელმა მეცენატმა იოპ ვან ჰისტერომმა გადაიხადა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ. სწორედ მას მივუძღვენი ჩემი უკანასკნელი საჭადრაკო ამოცანა.

● *ერთდროული თამაშის სეანსებს ალარ ატარებთ?*

– არა, ახლა ის თამაშში უკვე ალარ მიტაცებს.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ჩემპიონთა ლიგა

ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) – იუვენტუსი (იტალია) 1-1 (1-2)

ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, კარატაიდისი, ამანატიდისი, ანატოლაკისი, გეორგატოსი, მავროგენიდისი, კარაპიალისი (ამპსონა, 78), პურსანიდისი, ჯორჯევიჩი, იაკოპულოსი, მაგიჩი.

იუვენტუსი: რამპულა, მირკოვიჩი, იულიანო, მონტერო, დი ლივიო, კონტე, დეშამპი, დავიდსი, ზიდანი, ინძაგი, ესნაიდერი (ამორუზო, 69).

1-0 გოგიჩი (12), 1-1 კონტე (85).

კაიზერსლაუტერნი (გერმანია) – ბაიერნი (გერმანია) 0-4 (0-2)

კაიზერსლაუტერნი: რაინკი, პრუტკა, კოხი, რატინიო (როოსი, 46), რიდლი (ჟუნიორი, 60), ბალაკი, ვაგნერი, რაიხი, რიშე, სფორცა, როსლერი (ოჯიგვე, 76).

ბაიერნი: კანი, ლიზარაზუ, მათეუსი, ბაბელი, ლინკე, კუფური, იერემისი (ფინკი, 46), ეფენბერგი (შოლი, 46), ბოსლერი (სალიჰამიჯიჩი, 75), იანკერი, ციკლერი.

0-1 ეფენბერგი (9, პ.), 0-2, 0-3 იანკერი (22, 39), 0-4 ბასლერი (56).

ინტერი (იტალია) – მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 1-1 (0-2)

ინტერი: პალიუკა, ბერგომი (მორიერო, 69), კოლონეზე, ვესტი, ძანეტი, სილვესტრი, სიმეონე (ზე ელიასი, 32), კოე, ბაჯო, სამორანო, რონალდო (ვენტოლა, 60).

მანჩესტერი: შმეიხელი, ბერგი, სტამი, გ. ნევილი, ირვინი, კინი, იონსენი (სქოულზი, 76), ბექჰემი, გიგზი (ფ. ნევილი, 81), კოული, იორკი.

1-0 გოგიჩი (12), 1-1 კონტე (85).

დინამო (უკრაინა) – რეალი (ესპანეთი) 2-0 (1-1)

დინამო: შოკოვსკი, ლუჟნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, კალაძე, საცკევიჩი (ბელკევიჩი, 46), გუსინი, კარდაში, კოსრვსკი (იაშკინი, 85), შევჩენკო, რებროვი.

რეალი: ილგნერი, პანუჩი, კამპო, იერო, რობერტო კარლოსი, რედონდო, სანჩესი (გუტი, 72), ზეედორფი (შუკერი, 67), რაული, იარნი (კარამბუ, 82), მორიენტესი.

1-0, 2-0 შევჩენკო (62, პ, 79).

მეპმეთ შოლისა (მარცხნივ) და მიხაელ ბალაკის თავური ორთაბრძოლა

უეფას თასი

1/4 ფინალის განმეორებითი მატჩები

პარმა (იტალია) – ბორდო 6-0 (პირველი მატჩი 1-2)

გოლები: კრესპო (37,66, ვერონი (48), კიეზა 59, ბალბო (89).

ლიონი (საფრანგეთი) – *ბოლონია (იტალია)* 2-0 (0-3)

გოლები: კაველია (16), ჯობი (39)

რომა (იტალია) – *ატლეტიკო (ესპანეთი)* 1-2 (1-2)

გოლები: 1-0 დელვეკიო (32), 1-1 კარლოს აგილერა (59), 1-2 ფრენსედოსო (89)

სელტა (ესპანეთი) – *ოლიმპიკი (საფრანგეთი)* 0-0 (1-2)

შენიშვნა: შავი შრიფტით გამოყოფილია გუნდები, რომლებიც ნახევარფინალში გავიდნენ.

კიევველებს ყველა აფასებს

როგორც ცნობილია, კიევის „დინამოს“ თავდასხმის განთქმული დუეტი ანდრეი შევჩენკო „მილანში“ გადადის, სერგეი რებროვი კი...

● *ხმებს თქვენი გადასვლის შესახებ „არსენალში“ რაიმე საფუძველი აქვს?*

რებროვი (იცინის) – თუ შეიძლება, ჯერ ის მითხარით, ლონდონის „არსენალს“ გულისხმობთ თუ ტულისას? თუმცა ვხუმრობ, რა თქმა უნდა. არ ვიცი, სხვაგან როგორ არის, მაგრამ კიევის „დინამოში“ ფეხბურთელების ტრანსფერის საკითხი მთლიანად კლუბის ხელმძღვანელობის პრეროგატივაა, რომელიც მართავს მოლაპარაკებას ფიდვა-გაყიდვის შესახებ. როცა მოლაპარაკება მთავრდება, მთთამაშეს მის შედეგებს მხოლოდ მაშინ შეატყობინებენ ხოლმე: „აი, არის ასეთი წინადადება, კლუბს ხელს აძლევს, თუ შენც თანახმა ხარ, შეგიძლია გადახვიდე. რაც შემეხება მე, „არსენალისა“ თუ რომელიმე სხვა კლუბის შესახებ, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს.

● *დიახ, მაგრამ ლაპარაკი ასე ტყუილუბრალოდ ხომ არ დაიწყება ხოლმე?*

– რატომ ტყუილუბრალოდ? ეტყობა მოეწონათ ჩემი გოლი, რომელიც „უემბლიზე“ „არსენალს“ გავუტანე. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ ინგლისელებს ლაპარაკი დაეწყოთ.

● *კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებს მარტის ბოლოს ნაკრების შემადგენლობაში ელით ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები, ფრანგებთან პარიზში (27 მარტს) და ისლანდიელებთან – კიევში 31 მარტს. როგორი შეღეგები იწერება თქვენთვის ოპტიმალური?*

– ფრე მსოფლიო ჩემპიონებთან და გამარჯვება ირლანდიელებთან.

სომხებს გევრი ლეგიონერი ჰყავთ

სომხეთში დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც „გაზაფხულ-შემოდგომის“ სისტემით მიმდინარეობს. 20 მარტის ტურის შემდეგ ეროვნული ნაკრები სურენ ბარსეღიანის ხელმძღვანელობით რუსეთის ნაკრებთან მატჩისათვის (ევროპის პირველობის შესარჩევი ჯგუფი) მზადებას დაიწყებს, რომელიც 27 მარტს ერევნის „რაზდანის“ სტადიონზე გაიმართება.

აი ვინ გამოიძახა მთავარმა მწვრთნელმა შეკრებაზე: მეკარეები ბერეზოვსკი (სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“), აბრამიანი („არარატი“), მცველები – კრბაშიანი (მოსკოვის „ტორპედო-ზილ“-ი), აირაპეტიანი („ცემენტი“), შკრტიჩიანი (სამარის „კრილია სოვეტოვი“), სუკიასიანი (გერმანიის „კლოპენბურგი“), ვარდანიანი (გერმანიის „ფორტუნა“ ქ. დიუსელდორფიდან), ს. ოჰანესიანი (მოსკოვის „ლოკომოტივი“), ოსეფიანი („ზენიტი“), ხაჩატრიანი (ამჟამად გუნდი არ ჰყავს), შუა ხაზის მოთამაშეები – კაკოსიანი, კალაიჯანიანი (ორივე – სოჭის „უემჩუჟინა“), პეტროსიანიც (სამარის „კრილია სოვეტოვი“), პეტროსიანი (ისრაელის „მაკაბი“ ქ. პეტახ-ტიკვადან), ტ. ოჰანესიანი, არუთინიანი (ორივე „ცემენტიდან“), ვოსკანიანი (ელისტის „ურალანი“), სარქისიანი (მოსკოვის „ლოკომოტივი“), არმ. ადამიანი (სმოლენსკის „კრისტალი“), ეფრონოსიანი (შირაქი“). თავდასხმა – მიქაელიანი (სამარის „კრილია სოვეტოვი“), ესაიანი (ზაპოროჟიეს „ტორპედო“), შახგელდიანი (შვეიცარიის „ლოზანა“), ავეტისიანი („ყარაბახი“).

მისი კარიერა რამდენჯერმე შეიძლებოდა დამთავრებულიყო



ჯორდანი

მისი ჰაეროვნება მაიკლ ჯორდანი უდავოდ არის XX საუკუნის კალათბურთელი. იგი კოკა-კოლასთან და მიკი მაუსთან ერთად ამერიკის სიმბოლოდ იქცა. თავის კარიერაში ალბათ ერთხელ დაუშვა შეცდომა, როცა 1993 წლის ოქტომბერში გადაწყვიტა დაემთავრებინა მოთამაშის კარიერა. თუმცა, ბოლოს და ბოლოს ტრიუმფული დაბრუნება მოჰყვა.

ისე კი, ბევრმა არ იცის სინამდვილეში რა შანსი ჰქონდა მაიკლს გამხდარიყო ისეთი, როგორიც იგი დღეს არის. დედამისი მასზე ფეხმძიმედ იყო, რომ მომავალი ვარსკვლავის ბებია გარდაიცვალა. ამის გამო განცდები იმდენად ძლიერი იყო, რომ ექიმებმა ქალს მუცლის მოწყვეტა უწინასწარმეტყველეს. და როცა ბავშვი 1963 წლის 17 თებერვალს გაჩნდა ქვეყანაზე, იქვე ძალიან შეაშინა მშობლები. ახალშობილს ცხვირიდან შადრევანივით მოსდიოდა სისხლი.

ამით პატარა მაიკლის ფათერაკები არ დამთავრებულა, ბედმა მას არაერთი, მძიმე განსაცდელი არგუნა. მაგალითად, წლისაც კი არ იყო, რომ საწოლიდან გადმოვარდა და კინაღამ გაიგუდა. ორი წლისამ წვიმიან ამინდში ხელები ჩაავლო მაღალი ძაბვის ორ მავთულს მამის მანქანის ახლოს რომ ეყარა, – სწორედ მაშინ იგრძნო მისმა ჰაეროვნებამ რა არის ფრენა. დასასრულ, უნივერსიტეტში სწავლისას მაიკლი და მისი მეგობარი შორს გაიტაცა ოკეანემ. ჯორდანმა გამოსცურა, მეგობარმა – ვერა.

მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ბურთის ერთი ზუსტი სროლა, რომ ძირფესვიანად შემოეტრიალებინა „მაიკლ 33“ უბედურება და თავისებურ ყისმათიან კაცად ექცია. 81/82-ის „სამთა ფინალში“ მან გამარჯვების ბურთი ჩააგდო ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის გუნდის კალათში. თამაშის დამთავრებისთანავე მამამ უთხრა: „ამ გდების შემდეგ შენი ცხოვრება უწინდელივით აღარ წავა, შვილო“. და მართლაც, თავის წიგნში ჯორდანი წერს, რომ: მაშინ ეს უბრალოდ მორიგ ფრაზად ჩავთვალე. მაგრამ 15 წლის შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ კარიერაშიც და ცხოვრებაშიც სწორედ იმ მატჩმა შეცვალა ყველაფერი.

მაიკლის მამა ჯეიმსი მოკლეს 92/93 პლეი-ოფის დამთავრების შემდეგ, ფინალმა ვარსკვლავს მესამე ჩემპიონის ტიტული მოუტანა. ვაჟისათვის მამის სიკვდილი საშინელი დარტყმა იყო. ალბათ მაშინ გადაწყვიტა მაიკლმა კარდინალურად შეეცვალა თავისი ცხოვრება. 1993 წლის 3 ოქტომბერს რომ გამოაცხადა კარიერის დამთავრების შესახებ, მთელი ამერიკა კომატოზურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ჯორდანმა კეტბურთელობა გადაწყვიტა, მაგრამ მეორე ლიგის გუნდში ერთწლიანმა თამაშმა დააფიქრა იგი, რომ იქ იგი არაფრით გამორჩეული მოთამაშე არ არის, ამას კი მიზეული არ იყო და კვლავ დაბრუნდა.

ბოლო სამი წელიწადი „ჩიკაგო ბულზი“ უძლეველი იყო, მაგრამ ყოველი სეზონის წინ დგებოდა კითხვა: „დარჩება თუ არა მაიკლი?“ სამწუხაროდ, წლეულს ამ კითხვას უარყოფითი პასუხი გაეცა...

ჭადრაკის მერიდიანზე

რეკორდიც ამას ჰქვია!

აგვისტოში სკარბოროში (ინგლისი) დიდი ბრიტანეთის ტრადიციული საჭადრაკო ჩემპიონატი უნდა გაიმართოს. მიწვეულია ამ ქვეყნის ყველა წამყვანი დიდოსტატი: მაიკლ ადამსი, მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი ნაიჯელ შორტი, ჯონათან სპილმენი, ჯონ ნანი, ენტონი მაილსი, მეტიუ სადლერი. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ შესარჩევი შეჯიბრების შედეგების მიხედვით ამ ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვა ახალმა ნამდვილმა 10 წლის და 1 თვის ვუნდერკინდმა მურუგან ტირუჩელვამმა. ასეთ ძლიერ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა ბავშვისათვის უკვე მეოთხე მსოფლიო რეკორდი იქნება. 6 წლისა და 7 თვისამ პირველი ტურნირი მოიგო. შარშან ოქტომბერში პირველად შეძლო დიდოსტატთან პარტიის ყაიმით დასრულება. ამის შემდეგ ფიდეს რეიტინგით 2400 პუნქტს მიაღწია.

აქამდე რამდენიმე ინგლისელმა ვუნდერკინდმა მიიპყრო ყურადღება, თუმცა ასეთი შედეგები არავის ჰქონია. ექსპერტები მურუგანს დიდ ყურადღებას უთმობენ, გაზეთები კი ბეჭდავენ მის საინტერესო პარტიებს.

ჰასტინგსი. უძველესია...

103-ჯერ (!) ჩატარდა ჰასტინგსის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც 1895 წლიდან იმართება.

ამჯერად ამ ინგლისურ ქალაქში ჩატარდა შეჯიბრება სხვადასხვა დონის მოჭადრაკეთა შორის: უმთავრესი იყო დიდოსტატთა ტურნირი 10 მონაწილით, მეორე, ე.წ. „ჩელენჯერ-ტურნირში“ 82-ით, 7 დიდოსტატით, 4 საერთაშორისო ოსტატით და 5 ფიდეს ოსტატით. მიმდინარეობდა აგრეთვე მსოფლიო პირველობა მოყვარულთა შორის. ძირითად, დიდოსტატთა ტურნირში ბრწყინვალედ ითამაშა ბოსნიელმა ივან სოკოლოვმა, რომელიც ახლა მუდმივად ჰოლანდიაში ცხოვრობს. მან 9 შესაძლებლიდან 7 ქულა (5 მოგება და 4 ყაიმი) მოაგროვა და მთელი ორი ქულით გაასწრო II-VI ადგილებზე გამოსულ დიდოსტატებს მეტიუ სადლერს, ჯიმ ემმს, ჯონათან სპილმენს (სამივე – ინგლისი); სერგეი შიპოვსა (რუსეთი) და 15 წლის რუსლან პონომარიოვს (უკრაინა).

მეორე, ე.წ. „ჩელენჯერ-ტურნირში“ 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით I-III ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ბიშოფმა (გერმანია), ლალიჩმა (ხორვატია) და იულდაშევმა (უზბეკეთი). დამატებითი მონაცემებით პირველი პრიზი ბიშოფს მიენიჭა.

მოყვარულთა ასპარეზობაში სულ 41 მონაწილე იყო. ვაჟთა შორის 7,5-ქულა გაგიკ ოჰანესიანმა (სომხეთი) და დან ერიკსენმა (დანია) მოაგროვეს. დამატებითი მონაცემებით მსოფლიო ჩემპიონი სომეხი მოჭადრაკე გახდა. ქალთა შორის გაიმარჯვა 11 წლის ჯესი ჯილბერტმა.

გაცრუებული იმედები

დიდოსტატი ალექსეი შიროვი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მსოფლიო ჩემპიონობის ოფიციალურ პრეტენდენტად ითვლებოდა, ძალზე უკმაყოფილოა მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის მოქმედებით, რასაც საბოლოოდ მათი მატჩის ჩაშლა მოჰყვა.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ფინალურ მატჩში ალექსეი შიროვმა დამაჯერებლად სძლია ვლადიმირ კრამნიკს და კასპაროვთან თამაშის უფლება მოიპოვა. ამავე დროს იგი მაშინ შეეგუა ამ მატჩის ადსურდულ ფინანსურ პირობებს, მთელ საპრიზო თანხას (100 ათას დოლარს) მიიღებდა... დამარცხებული, მოგებულს (შიროვს) კი კასპაროვთან მატჩში მდიდრული ჰონორარი ელოდა.

დიახ, მაგრამ კასპაროვ-შიროვის მატჩი არ შედგა და შიროვი, ასე ვთქვათ, ცარიელი დარჩა. საქმე ის არის, რომ ამ შეხვედრის ჩატარება არცერთმა მეცენატმა არ ისურვა. მართალია, იყო ერთი წინადადება კალიფორნიიდან, სადაც ახორებდნენ საპრიზო ფონდის შექმნას 600 ათასი დოლარის ოდენობით. როგორც ჩემპიონმა, ისე პრეტენდენტმა ეს თანხა სრულიად უმნიშვნელოდ მიიჩნიეს.

კასპაროვი ძალიან გააღიზიანა შიროვის განცხადებამ იმის შესახებ, რომ შიროვის უფლებები, როგორც პრეტენდენტისა, არანაკლებ დასაბუთებულია, ვიდრე კასპაროვის, როგორც მსოფლიო ჩემპიონის. პრეტენდენტი ამბობს, რომ კასპაროვს 1995 წლის შემდეგ აღარ დაუცავს თავისი წოდება, მაშინ, როდესაც მან ვალდებულება იკისრა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ეთამაშა მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ეს დრო ხომ კარგა ხანია ამოიწურა.

– 1991 წლიდან მოყოლებული – განაცხადა შიროვმა – სრულიად დამაჯერებლად მოვიგე ყველა მატჩი, მზად ვარ შევხვდე მსოფლიო ჩემპიონობის მატჩში კასპაროვს და იმის იმედიც მაქვს, რომ აუცილებლად მოვუგებ.

აბაშის რაიონის სპორტკომიტეტის თანამშრომლები ღრმა სამძიმარს უცხადებენ ამავე კომიტეტის თავმჯდომარეს თემურ იობაიას მამის

ამირან იობაიას

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა აბაშის რაიონის სოფ. ქვათანაში, 23 მარტს.

სპორტკომპლექსი „ლაგუნა-გერე“-ს კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს დირექტორის მოადგილეს დავით შალამბერიძეს შვილის

კახა შალამბერიძის

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: 18, 19 მარტს – 16 სთ. დაკრძალვა: 20 მარტს – 15 სთ. ნუცუბიძის III მიკრორაიონი, II კვარტალი, მე-18 კორპუსი, I სადარბაზო.

დავა დიდხანს გრძელდება

ჰოლიფილდ–ლუისის მატჩის ექო

არ დარჩენილა არც ერთი გაზეთი, რადიო თუ ტელეკომპანია, რომ ჰოლიფილდ-ლუისის მატჩისათვის ვრცელი კომენტარები არ მიეძღვნას. საერთო აზრი ასეთია: თუ გარეგნულად ბრძოლა არც ისე მიმზიდველი გამოდგა, შინაგანი დაძაბულობა ნამდვილად უდიდესი იყო. ზოგი კომენტატორის აზრით, ესოდენ სახელოვანი მოკრივეებისაგან (განსაკუთრებით, ჰოლიფილდისაგან) მეტი იყო მოსალოდნელი, სხვები კი ფიქრობენ, რომ მოკრივეებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ.

ეურნალისტებმა ყურადღება მიაპყრეს იმ ამბავს, რომ ჰოლიფილდი მატჩის წინ მეტისმეტად აღგზნებული იყო და რაღაცას გაუთავებლად ბუტბუტებდა, ლუისი კი შედარებით დამშვიდებული ჩანდა.

მატჩის პირველი ნახევრის შემდეგ ჰოლიფილდი უდავოდ აგებდა ქულებს და კომენტატორები კატეგორიულადაც ამბობდნენ, რომ მას „სიბერე დაეტყო“, „ის სისწრაფე აღარ აქვს“ და ა.შ. მალე ვითარება შეიცვალა. ტუუილად როდი უუვარს „კრივის ფილოსოფოსად“ წოდებულ ევანდერ ჰოლიფილდს ასეთი გამოთქმა: „ნამდვილი მატჩი მაშინ იწყება, როცა მეტოქე იღლება“. ჰოლიფილდი თანდათანობით სულ უკეთ გამოიყურებოდა, ლუისმა ორი (თუმცა არც ისე სახიფათო) ჭრილობაც კი მიიღო. საერთოდ, ბრძოლა ისე დამთავრდა, რომ მისი შედეგის გამოცნობა ნამდვილი პრობლემა გახდა (კომპიუტერმა ლუისის ორჯერ მეტი დარტყმა აღნიშნა ჰოლიფილდთან შედარებით), თუმცა მსაჯებმა სხვანაირად ჩათვალეს.

ამერიკელი მიმომხილველები ფრეს ამ დაძაბული შეხვედრის ობიექტურ შედეგად თვლიან. ინგლისური ბი-ბი-სის კომენტატორი გაცილებით უფრო კატეგორიული იყო. იგი ამტკიცებდა, რომ ლუისს აშკარად წაართვეს სრულიად დამსახურებული გამარჯვება. „მე რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ვიყო, ამერიკის შეერთებულ შტატებს ომს გამოვუცხადებდი“. კომენტატორები ფიქრობენ, რომ ჰოლიფილდი და ლუისი აუცილებლად უნდა შეხვდნენ ერთმანეთს და ამერიკელ მოკრივეს მაშინ კი სამარცხვინო დამარცხება ელის, მით უმეტეს, თუ ბრძოლა ლონდონში გაიმართება.

მსაჯების გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა ლუისმა პრეს-კონფერენციაზე დარჩენა არ ისურვა და დარბაზი ლანძღვა-გინებით დატოვა. რაც შეეხება ჰოლიფილდს, იგი, როგორც ყოველთვის, კორექტული და თავაზიანი იყო, ეურნალისტებს მატჩის დეტალებს უხსნიდა და მეტოქის ხელოვნებას მაღალი შეფასება მისცა.

მატჩის მეორე დღეს კრივის სამივე საერთაშორისო ფედერაციამ ერთობლივი განცხადება გააკეთა და მოკრივეები დაავალდებულა 6 თვის ვადაში აუცილებლად შეხვდნენ ერთმანეთს.

რაც შეეხება ექსპერტებს, მათი დავა კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

ვსწიდი სამოთახიან ბინას (სარდაფითა და დიდი ლოჯიით) ქალაქის პრესტიჟულ (ვაკის) რაიონში, მრგვალ ბაღთან, ირაკლი აბაშიძის (ყოფილი ბარნოვის) ქუჩაზე. ფართობი 100 კვ. მ. ჭერის სიმაღლე 3,20 მ. ცნობებისათვის დარეკეთ: 93.19.46, 22.41.53.



მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თარაზულად: 2. ზამთრის XI ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილი, 5. მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის (1956-58 წ.წ), 6. ზაფხულის IV და XIV ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 8. არგენტინელი მწვრთნელი ფეხბურთში, 9. 1960-70-იანი წლების ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, 10. ლეგენდარული ამერიკელი მძლეოსანი *(ფოტო)*, 11. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი (1980-90-იანი წ.წ), 12. გერმანელი ნახევარმცველი, მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონი ფეხბურთში, 15. ცნობილი რუსი მეკარე, 17. ოლიმპიური სტადიონი მეხიკოში, 18. მოჭადრაკე ქართველი დიდოსტატი, 19. დროის ათდღიანი მონაკვეთი, 21. რუსი ქალი, ფიგურულ ციგურაობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი. 21. გამოჩენილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი, ვეტერანი, 25. ლატვიის საფეხბურთო კლუბი, 27. თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი ფეხბურთელი (1945-54 წ.წ.), 28. კუბელი მოკრივე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 29. გერმანელი მწვრთნელი ფეხბურთში, 30. ფეხბურთელი, 1967 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი, 31. შვედი ფეხბურთელი, 1948 წლის ოლიმპ. თამაშების ჩემპიონი. 33. კვიპროსის საფეხბურთო კლუბი.

შვეულად: 1. ქართველი მოჭიდავე, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი, 2. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 3. მსოფლიოს სპორტსმენთა უდიდესი ფორუმი, 4. „არსენალის“ ფრანგი ფეხბურთელი, 5. ბრაზილიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი, 7. ესპანელი მეკარე. 1964 წლის ევროპის ჩემპიონი, 13. 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი, 16. „ბოლონიას“ ფეხბურთელი, 19. ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი (1975-82 წ.წ.), 20. ფეხბურთელი „მილანის“ ნახევარმცველი, 21. განცხადება, პლაკატი, 24. „ბაიერნის“ თავდამსხმელი. 26. გამოჩენილი ამერიკელი მძლეოსანი, 28. ფეხბურთელი, 1961 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი.

დიაგონალურად: 5-14. წარსულში გამოჩენილი გერმანელი მძლეოსანი ქალი, 15-7. იალქნიანი სპორტული ნავი, 30-21. „ვალენსიას“ ფრანგი ფეხბურთელი, 23-32. მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის 1894-1921 წლებში.

შეადგინა ბიძინა წიქვაძემ, (თბილისი)

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

შვეულად: 1. ფარი. 2. „დინამო“, 3. მაკაბი, 6. სტეფანია, 7. ჯორჯიკია, 8. ჩაჩუა, 10. ხაზარაძე, 13. ქილაძე, 14. ქლენტი, 15. ახოტი. **თარაზულად:** 3. მაღალაშვილი, 4. კეცელიძე, 5. ბოისა, 9. ჭორჭია, 11. ლექავა, 12. მინაშვილი, 16. ლომაძე, 17. ბერძენიშვილი.

საჭადრაკო ამოცანა

ო. გამულაშვილი (სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მh3!

1. ...მფe5 2. ჟg7+ მფf5 3. g4X.

1. ...მფd3 2. მf2+ მფd2 3. ჟb4X.

2. ...მფd4 3. ჟg7X.

თბილისი, 380008, ვ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორაია, ნანი რამიშვილი. ინტერნეტ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი